პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით | კვირა | 22 ივნისი 1924 წ. | წელიწად- მეოთხე | ფასი 5 კაპ.

# წითელი მეომარი

№ 530 | კ. წ. ა. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელ. ¼,
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც' ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლო 1 საათამდ

## განცხადება.

ორშაბათს, 23 ივნისს, საღამოს 6 საათზე თბილისის აღმასკომის დარბაზში დანიშნულია თბილისის საბჭოს სხდომა.

დღის წესრიგი:

1) ზაჰესკომის მოხსენება.
2) სექციების მუშაობის შესახებ.
3) მიმდინარე კითხვები.

დასწრება ყველა წევრებისათვის სავალდებულოა.—

პრეზიდიუმი.

## საქმე ძლიერ კარგათ წავა.

აი რა უპასუხა საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარემ ამხ. რაკოვსკიმ ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენლებს მათ შეკითხვაზე, თუ როგორ მიმდინარეობს ინგლის-საბჭოთა მოლაპარაკება.

ორ თვეზე მეტია, რაც ლონდონში მუშაობს ინგლის-საბჭოთა კონფერენცია; იყო მომენტები, როდესაც მოსალოდნელი ხდებოდა მოლაპარაკების გაწყვეტა, მაგრამ ეს არ მოხდა. ასეთი კრიზისების მთავარი მიზეზი იყო ინგლისის მსხვილი ბურჟუაზია, რომელიც სხვა და სხვა კერზონების სახით ცდილობდა ხელი შეეშალა კონფერენციის ნორმალური მსვლელობისთვის და მით ჩაეფუშა ის. მაგრამ მიუხედავათ ინგლისის რეაქციონერების ყოველგვარი ცდებისა, კონფერენცია მაინც განაგრძობს თავის საქმიან სხდომებს და სრული იმედია, რომ ის გაამართლებს მასზე დაკისრებულ ამოცანებს.

საბჭოთა დელეგაცია ყოველ ღონის ძიებას მიმართავს, რათა მიაღწიოს შეთანხმებას, მაგრამ ის არასდროს არ დათანხმდება ინგლისის მტაცებელ ბურჟუაზიის ისეთ მოთხოვნილებებზე, რომელიც მძიმე უღლად დააწვება კისერზე საბჭოთა კავშირის მშრომელ ხალხს და ხელიდან გამოაცლის მას ოქტომბრის ყველა მონაპოვარს.

ამ მხრივ ჩვენი დელეგაცია მტკიცედ სდგას თავის პოზიციებზე და არას დროს არ დაიხევს უკან.

საბჭოთა დელეგაციის ეს შეურყევლობა კარგად იციან აგრეთვე ინგლისის წარმომადგენლებმაც, ამიტომ ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თითქოს შეთანხმება მოხდეს ჩვენი უკან დახევის საფუძვლებზე.

ინგლისი დღეს მეტის მეტად დაინტერესებულია, რომ მიღწეულ იქმნას ეს შეთანხმება, რადგან ამით მას საშვალება ეძლევა გააფართოვოს თავისი საგარეო ვაჭრობა, რომელიც მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია ამ ჟამად.

ამას ამტკიცებენ აგრეთვე ცნობილ ლოიდ-ჯორჯის სიტყვები, რომლებიც შიშითაა აღსავსე ინგლისის საგარეო ვაჭრობის შესახებ. ამიტომ ნებით თუ უნებლიეთ ინგლისის წარმომადგენლები იძულებულნი იქნებიან თავი გაანებონ თავის უკანონო პრეტენზიებს და აწარმოონ ჩვენთან მოლაპარაკება თანასწორ უფლებიანობის და სამართლიანობის საფუძველზე, როგორც მათ აღგვითქვეს კონფერენციის პირველ სხდომაზე.

ამხ. რაკოვსკის ზემოთ—მოყვანილ სიტყვებიდან სჩანს, რომ მოლაპარაკება სწორედ ჩადგა ამ კალაპოტში და სასურველი მიმართება მიიღო. ჩვენ არ ვიცით რაზედ ისაუბრეს ამხ. რაკოვსკიმ და ლიტვინოვმა მაკდონალდთან, რადგან ეს ჯერჯერობით საიდუმლოთ ინახება, მაგრამ ჩვენთვის სრულიად საკმარისია ამხ. რაკოვსკის იმედიანი სიტყვები, რომ საქმე კარგად წავა.

ვისურვოთ რომ კარგადაც დასრულებულიყოს.

## ინგლის საბჭოთა კონფერენცია

### საქმე კარგათ წავა.

რაკოვსკის და ლიტვინოვს თათბირი ჰქონდათ მაკდონალდთან. საბჭოთა დელეგატებმა. უარი სთქვეს აცნობონ პრესის წარმომადგენლებს მაკდონალდთან თათბირის მიზანი. მხოლოდ რაკოვსკიმ უპასუხა, რომ. „საქმე კარგად წავა."

### ინგლისის საგარეო ვაჭრობა.

#### ვაჭრობის მინისტრის იმედები.

თემთა პალატის მინისტრმა სიდნეიმ განაცხადა, რომ ინგლისის ვაჭრობის მომავალი გაცილებით ბევრს გვპირდება გასულ წელთან შედარებით.

### ინგლის-საბჭოთა ვაჭრობის მნიშვნელოვანობა.

ინგლის-საბჭოთა ვაჭრობის შესახებ სიდნეიმ განაცხადა, რომ ის უფრო მნიშვნელოვანია, ვინემ ფართე საზოგადოება ფიქრობს.

### ლოიდ-ჯორჯი ცუდ განწყობილებაზეა.

ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ მას არაქვს ისეთი იმედები, როგორც სიდნეის, ვინაიდან იმ დროს როცა გერმანიისა და კონტინენტების მრეწველობა იზრდება, ინგლისის მრეწველობა ეცემა. ის მოითხოვს კომისიას ბრიტანეთის ვაჭრობის გამოსაკვლევად, რათა ინგლისმა შესძლოს კონკურენცია გაუწიოს სხვა ქვეყნებს, როცა ვაჭრობა გამოცოცხლდება.

## მღელვარება იტალიაში გრძელდება.

### მატეოტის მკვლელობის გარშემო.

#### ბანდიტური სამინისტრო.

იტალიის შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი, რომელიც ამ ჟამად გადამდგარია, იუწყება, რომ სამინისტროში ბუდობდა მკვლელთა ბანდით. პრესის განყოფილება, სადაც მატეოტის მკვლელები მუშაობდენ, უშუალოდ დამოკიდებული იყო მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმისაგანო.

### იტალიის სოციალ დემოკრატების მოწოდება.

იტალიის სოციალ-დემოკრატები მოუწოდებენ სახალხო მასებს რათა მოითხოვონ მუსოლინის მთავრობის გადადგომა, პარლამენტის დაშლა, ფაშისტურ მილიციის გაშვება და ახალი არჩევნების დანიშვნა.

### სამხრეთ-სლავიის სოციალისტების პროტესტი

სამხრეთ-სლავიის სოციალისტურმა პარტიამ მოაწყო ბელგრადში საპროტესტო მიტინგი მატეოტის მკვლელობის გამო და დაადგინა მოუწოდონ საერთაშორისო სოციალისტურ პარტიებს გამოვიდენ ფაშიზმის წინააღმდეგ.

### ფაშისტებში დიდი ჩოჩქოლია.

ფაშისტურ პარტიის დირექტორია მოითხოვს მუსოლინისაგან, რათა ქვეყნის ხელმძღვანელობა შერჩეს ფაშისტურ პარტიას. დირექტორიამ განაცხადა, რომ ის ენერგიულად იბრძოლებს მთავრობის მტრების წინააღმდეგ.

## კომინტერნის მეხუთე კონგრესის გახსნა

### 20 ივნისის დილის სხდომა.

#### საერთაშორისო ეკონომიური მდგომარეობა.

მსოფლიო ეკონომ. მდგომარეობაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ვარგა.

ის იგონებს მე-3-ე კონგრესის შეხედულებას, რომ მსოფლიო მეურნეობა გაძლიერებულ კრიზისს განიცდის. მსოფლიო მრეწველობის წარმოება ჯერ კიდევ შორს არის ომამდე არსებულ წარმოებიდან. ინგლისის, ამერიკის, გერმანიის, ჩეხოსლოვაკიის, იტალიის და პოლონეთის უმუშევართა რიცხვი თითქმის ერთ რიცხვს გვაჩვენებს ამ უკანასკნელ წლებში 4-დან 5 მილიონამდი.

მრეწველობის აყვავება შეერთებულ შტატებში 1923 წელს, იწვევს აგრარულ კრიზისს.

„მაკრატელი არა მარტო რუსული მოვლენაა, არამედ მსოფიოც. მოსალოდნელია დიდი სამეურნეო კრიზისი, რომელმაც უკვე თავი იჩინა შეერთებულ შტატებში. (გამოშვებულია). პროლეტარიატის ბრძოლის პირობები მახლობელ წლებში კეთილსასურველია მოპირდაპირე კლასების ინტერესთა გამწვავების გამო.

### საღამოს სხდომა.

საღამოს სხდომაზე კონგრესმა მიიღო მოწოდების ტექსტი მსოფლიო პროლეტარიატისადმი ჩინეთის ერის ჩაგვრის წინააღმდეგ და მუშათა მოძრაობის დევნის საპროტესტოდ. შემდეგ იმართება კამათი ამხ. ზინოვიევის და ვარგას მოხსენებების გარშემო. ტრენტი ეთანხმება ამხ. ზინოვიევის შეხედულებებს. თუ მე 3-ე კონგრესი იბრძოდა მარცხენა საფრთხის წინააღმდეგ, მე-5-ე კონგრესმა ლახვარი უნდა ჩასცეს საფრთხეს მარჯვნივ.

გერმანიის მუშა ლაპარაკობს ოქტომბრის შეცდომებზე და აღნიშნავს, რომ გაკვეთილი დაჯდა ძვირად მაგრამ ის ღირს იმათ, თუ ჩვენ გვეყოლება ბოლშევიკური პარტიები ევროპაში.

ამხ. პეტროვსკი ამბობს, რომ ინგლისის კომპარტიას აქვს დიდი სამოღვაწეო ასპარეზი, რომელმაც უნდა გააძლიეროს მუშაობა პროფკავშირებში და მუშათა პარტიაში. კონგრესმა უნდა გადასინჯოს ინგლისის მდგომარეობა და დაეხმაროს ინგლისელ ამხანაგებს ბრძოლაში.



რუტა ფიშერი

გერმანიის კომპარტიის ერთ-ერთი ბელადთაგანი კომინტერნის 5 კონგრესის წევრი.

ინდოეთის წარმომადგენელი როი ამბობს, რომ კომინტერნის უმთავრესი ამოცანაა ინგლისის ძლიერი კომპარტიის შექმნა, რომლის მოღვაწეობაც უნდა გავრცელდეს მთელ ბრიტანეთის იმპერიაში და გაერთიანდეს ფრონტი კოლონიებთან.

## მედიცინის მუშაკთა დემონსტრაცია.

19 ივნისს წითელ მოედანზე მოხდა მედიცინის მუშაკთა და ფიზგანათლების ახალგაზრდათა დემონსტრაცია. დელეგატები მიესალმენ მე-5-ე კონგრესს. მაკმანუსმა, რომელიც გამოვიდა კომინტერნის და ინგლისის პარტიის სახელით, განაცხადა, რომ დასავლეთის პროლეტარიატი აღფრთოვანებით ადევნებენ თვალყურს რუსეთის პროლეტარიატს მოღვაწეობას, რომელშიაც დიდი სამსახური მიუძღვის მედიცინის მუშაკებს. დასავლეთ პროლეტარიატის ფიქრი არის რუსეთის პროლეტარიატთან ერთად ყოფნა არა მარტო სიტყვით არამედ საქმითაც.

დემონსტრაციას ესალმება საფრანგეთის, გერმანიის და იტალიის კომპარტიის წარმომადგენლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სრულიად რუსეთის ცაკის მეორე სესია

სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა მოწვეულ იქნას ცაკის მეორე სესია. დღის წესრიგი: რსფსრ-ს კონსტიტუციის შეცვლის საკითხები საბჭოთა კავშირის წარმოშობის გამო, დადგენილებანი რსფსრ-ს სახალხო კომისარიატებზე. საბჭოთა სამაზრო ყრილობებზე, საოლქო აღმასკომებზე, სოფლის საბჭოებზე, სამხრეთ-აღმოსავლეთის ოლქის შესახებ, სახალხო განათლების, მიწად-მოქმედების და ფინანსთა კომისარიატების მოხსენებები.

## ფაშიზმის კრიზისი.

დირექტორიის წევრებმა განუცხადა მუსოლინს, რომ ფაშისტურ პარტიაში დღითი დღე იზრდება გადაწყვეტილება დაიცვან მთავრობის საქმე ბოლომდის.

იტალიაში დიდი მღელვარებაა.

მატეოტის გვამი კიდევ ვერ იპოვნეს.

25 ივნისს შესდგება პარლამენტის ოპოზიციის სხდომა მატეოტის მკვლელობის შესახებ. ოპოზიცია მოითხოვს ფაშისტურ აქტიურ პირების დათხოვნას. ფაშისტური გაზეთები პროტესტს აცხადებენ ამ ბოროტ მოქმედების წინააღმდეგ და მოითხოვენ სასტიკ სასჯელს.

ბოლონიაში მოხდა ფაშისტური დიდი დემონსტრაცია.

### პრედის გადადგომა.

გადადგა ფაშისტურ პრესბიუროს მეთაური პრედი, რომელსაც ბრალს სდებდენ მატეოტის მკვლელობაში.

### მონაწილეობა საპროტესტო დემონსტრაციაში.

მოქმედების კომიტეტმა, რომელშიაც შედიან საფრანგეთის კომპარტიის წარმომადგენლები გაუგზავნა სოციალისტურ პარტიას და შრომის ფედერაციას წინადადება შეუერთდენ საპროტესტო დემონსტრაციას, რომელიც მოხდება მომავალ კვირას მატეოტის მკვლელობის გამო.

## 5 წუთიანი პროტესტი.

იტალიის გენერალურმა პროფკავშირთა ფედერაციამ დაადგინა თავი შეიკავონ გაფიცვებისაგან და დაკმაყოფილდენ 25 ივნისს ყოველგვარ მუშაობის შეწყვეტით მხოლოდ ხუთი წუთით.

# ამერიკა.

## ნახშირის მაღაროს მუშათა წარმომადგენელის კანდიდატურა პრეზიდენტის ადგილზე.

ფერმერთა მუშათა პარტიის ყრილობამ ერთხმად წამოაყენა პრეზიდენტის თანამდებობაზე ნახშირის მაღაროს მუშათა წარმომადგენელი დუნკან მაკდონალდი.

### კომპრომისული გეგმა.

ფერმის მუშათა პარტიის კონფერენციაზე სენ პოლში ერთხმად მიღებულ იქნა კომპრომისული საორგანიზაციო გეგმა, რათა აშორებულ იქნას მოსალოდნელი განხეთქილება. მახენის მემარჯვენე ფრთა დასთანხმდა არ შეუშალოს ხელი კომუნისტებს ნაციონალურ-კლასიურ პარტიის შექმნაში. კომუნისტები თავის მხრივ თანახმა არიან შეუდგენ ხსენებულ ორგანიზაციის მოწყობას პრეზიდენტის არჩევის შემდეგ. რეზოლიუცია მოითხოვს ნაციონალურ-ფერმერთა მუშათა პარტიის შექმნას, რომელიც თავისუფალი უნდა იყოს სპეკულიანტების გავლენისაგან, რომლებიც ბატონობენ რესპუბლიკანურ და დემოკრატიულ პარტიებში.

# საფრანგეთის ახალ მთავრობის პირველი ნაბიჯები

## ერიოს გამოსვლა დეპუტატთა პალატაში.

ერიოს გამოსვლამ დეპუტატთა გამოიწვია, რასაც მოყვა კრების და პალატაში ვატიკანიდან საელჩოს გა ხურვა. მოწვევის შესახებ დიდი აურზაური

### ბიუჯეტის წონასწორობა.

ფინანსიურ საკითხების შესახებ ერიომ აღნიშნა, რომ ის ყოველთვის მომხრე იყო საბიუჯეტო წონასწორობისა.

მთავრობა დაიცავს ეკონომიას, რისთვისაც მტკიცედ გაატარებს საგადასახადო შემოსავლის საქმეს.

### ძველი ისტორია.

საგარეო პოლიტიკის შესახებ ერიომ ხაზგასმით აღნიშნა ინგლისის, საფრანგეთის და ბელგიის სურვილი რათა აიძულონ გერმანია შეასრულოს თავისი ვალდებულება.

### კომპლიმენტი მაკდონალდს.

ბოლოს ერიომ განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობას სათავეში უდგას „ლიბერალი და საიმედო მეგობარი“.

### საკითხი რურის ევაკუაციის შესახებ.

ერიომ ითათბირა გერმანიის რწმუნებულ ფონგეშთან რურის ევაკუაციის თარიღის დადებისა და აგრეთვე რეინლანდის და ვესტფალიის მდგომარეობაზე. გაზეთ „ჟურნალ“-ი ამოწმებს, რომ კანონ პროექტის მიღების შემდეგ, რომელიც ეხება ექსპერტების გეგმას, გერმანია გადასდგამს სათანადო ნაბიჯებს რურის ევაკუაციის საქმეში.

### რა მისცა საფრანგეთს ოკუპაციამ.

ლე-ტროკე გამოვიდა დეპუტატთა პალატაში რურის პოლიტიკის ახსნა განმარტებით. მან განაცხადა, რომ საფრანგეთის შემოსავალი ოკუპაციის გზით უდრის მილიარდ ნახევარ მარკას.

## ერიო თავის გამგზავრების შესახებ.

ლონდონში გამგზავრების შესახებ ერიომ განაცხადა, რომ საფრანგეთი ითვალისწინებს ორგვარ უზრუნველყოფას: გერმანიამ უნდა მოგვცეს სარეპარაციო გადასახადისა და საფრანგეთის უზრუნველყოფის გარანტია, ვინაიდან საფრანგეთს არ სურს რომ მასზე თავდასხმა მოახდინონ.

### შტრეზემანს იმედი აქვს.

შრომის პალატის გახსნაზე დე-საუში შტრეზემანმა გამოსთქვა იმედი რომ საფრანგეთის მთავრობას არ სურს ის ბრძოლის მეთოდები, რომელიც დღემდისაც არ უწარმოებიათ გერმანიის მიმართ. „ლოიალური ასრულება ექსპერტთა გეგმისა—განაცხადა შტრეზემანმა—შეძლებას მისცემს გერმანიას მშვიდობიანად განვითარდეს მახლობელ წლების განმავლობაში.

### ერიოს გამოსვლა.

ინგლის-საფრანგეთის თანამშრომლობის შესახებ ერიომ განაცხადა: „ჩვენ არ მოვ თხოვთ, რომ ორივე ერი ერთმანეთს ჰგავდეს, არამედ ჩვენ ვცდილობთ, რათა ერთი ერის გამოცდილებამ შეავსოს მეორე ერის გამოცდილება, რაც უზრუნველყოფს საერთო მშვიდობიანობას.

### დღეს მთავარი წესრიგი.

საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხი საფრანგეთის პრესის მთავარი თემაა.

„მატენი“ს აზრით ერიო ვერ იცნობს სსრკ-ს ვაშინგტონის შეუთანხმებლად. ვინაიდან ამერიკა და საფრანგეთი ერთ პოზიციაზე იდგნენ საბჭოთა კავშირის მიმართ. „ესტ ერობ“-ის სააგენტო სწერს, რომ ერიოს საბჭოთა კავშირის ცნობამდი სურს ითათბიროს მაკდონალდთან ამ საკითხზე.

# რადიო ყოველ მხრიდან

## საფრანგეთის გენერალ-გუბერნატორის მოკვლის განზრახვა ინდო-ჩინეთში.

ბანკეტის დროს, რომელიც გამართული იყო საფრანგეთის კოლონიის მიერ, ინდო-ჩინეთის გენერალ გუბერნატორის საპატივცემოდ, ერთმა ჩინელმა დარბაზში ისროლა ყუმბარა. მოკლულია ნიუიორკის ერთ-ერთ მრეწველობის დირექტორი დე-მარეცი და ინდო-ჩინეთის ბანკის მოსამსახურის ცოლი. ორი ბანკეტზე დამსწრე დაჭრილია სასიკვდილოდ, 5—მძიმედ. გენერალ გუბერნატორი მერლანი უვნებლად გადარჩა.

## გიგანტიანი სეტყვა

**ბრიანსკი.**

ლიუდინოვის ოლქში გადაიარა უმაგალითო გრიგალმა, რომელსაც თან მოჰყვა ძლიერი სეტყვა. თითეული სეტყვის წონა უდრიდა ერთ გირვანქას. ნაწილობრივ განადგურებულია, ნათესი. მოკლულია ორი გლეხი, დაჭრილია რამოდენიმე; მოკლულია აგრეთვე მრავალი საქონელი.

# ქვეითი ჯარის საბრძოლო სამსახური.

ამ სათაურით უმაღლეს სამხედრო სარედაქციო საბჭომ გამოსცა სახელმძღვანელო მუშურ-გლეხურ წითელ ჯარის უფშემადგენლობისათვის, რომლითაც შეიძლება სარგებლობა ქვეითი და საველე ნაწილებისათვის საველე დებულებების გამოსვლამდე, რომელიც გამოცა შარშან სახელმძღვანელოდ „ბრძოლა ქვეითი ჯარისა“.

სწორედ ამაში გამოიხატება ძირითადი ღირსება ამ უკანასკნელ გამოცემისა, რადგან „ქვეითი ჯარის ბრძოლა“ იგივე ოფიციალური გამოცემაა, რომელიც ძირშივე ცვლის საველე წესდების ძირითად დებულებებს, და ამავე დროს არც ცვლის და მხოლოდ ქმნის უფშემადგენლობის თვალში შეურიგებელ წინააღმდეგობას, ხშირად კი შეცდომაშიაც შეყავს ის, რადგან, საზოგადოდ, ჩვენი უფშემადგენლობა იშვიათად თუ უკვირდება ღრმად წესდების დედა აზრს, ისინი მას ზერელედ აქცევენ ყურადღებას.

„ქვეითი ჯარის ბრძოლა“-მ მიიპყრო უფშემადგენლობის საერთო ყურადღება, როგორც ერთად-ერთ სახელმძღვანელომ ჯგუფურ ტაქტიკის შესასწავლად ჯარისათვის, რომელმაც ბოლო მოუღო სხვა და სხვა სადაო საკითხებს, დაკავშირებულს ჯგუფურ ტაქტიკის სწავლებასთან. ამ საკითხმა დიდი გამოძახილი ჰპოვა ცენტრალურ და საოლქო სამხედრო პრესაში, რომელმაც დაბნია არა მარტო ისეთი უფროსები, რომლებიც ცუდათ ერკვევიან ამ საქმეში, არამედ ის უფროსებიც, რომლებსაც გათავებული აქვთ უმაღლესი სამხედრო—აკადემიური კურსები და სამხედრო აკადემია. ავიღოთ თუნდაც ბრძოლის წესის გაგრძელება ფრონტზე ასეულისათვის, რომლის შესახებ ისეთი ერთი მეორეს საწინააღმდეგო აზრი იყო გამოთქმული, რომ უფროსებმა არ იცოდენ სად იყო სიმართლე და ნორმალურ სწავლების მაგივრად დისკუსიებში ატარებდენ დროს, რადგან ისინი იძულებულნი იყვნენ შეეფარდებიათ თავიანთი მოქმედება უფროსების მოთხოვნილებისათვის, რომლებიც თავის მხრივ მერყევი და მრავალ მხრივი იყვნენ.

ამიტომაც „ქვეითი ჯარის ბრძოლა“-მ მიიპყრო მთელი უფშემადგენლობის ყურადღება და ბოლო მოუღო ცალკე უფროსების გაქანებულ ფანტაზიას, და უნდა ითქვას, რომ ეს ერთად ერთი სახელმძღვანელოა, რომლის შესწავლას უფშემადგენლობამ დიდი შრომა და დრო შესწირა. მოსალოდნელია, რომ ბევრ უფროსებმა განაცხადონ, რომ მათ ამას წინად შეისწავლეს ერთი სახელმძღვანელო და ეხლა კი მათ სთავაზობენ მეორეს და კიდევ ისიც შენიშვნით, რომ ეს დროებითაა ახალი სახელმძღვანელოს გამოსვლამდე. გამოჩნდებიან აგრეთვე ისეთებიც, რომლებიც იტყვიან, რომ შარშან ასწავლიდენ ერთს, ეხლა კი იძულებულნი არიან შეისწავლონ მეორე და ისიც არა მარტო თვით შეისწავლონ, არამედ ჯარსაც უნდა ასწავლონ. შეიძლება ასეთ ხშირ სახელმძღვანელოების ცვლას უწოდონ აზრთა რყევა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ახალი ქვეითი და საველე წესდებები არ იქნება სწორი ასლი „ქვეითი ჯარის საბრძოლო სამსახური“-სა, მხოლოდ მასში შეიტანენ ამა თუ იმ ცვლილებებს და შესწორებებს.

ყველა ეს ხმები უსაფუძვლო არ არიან, მხოლოდ რამდენიმეთ.

1. უწინარეს ყოვლისა, სამხედრო ტეხნიკა და სამხედრო საქმე მთლიანად ერთ წერტილზე არ ჩერდებიან არამედ ისინი წინ მიიწევენ გაუმჯობესებისაკენ და თანამედროვე ომში გამარჯვება იმ ჯარს ხვდება წილად, რომელიც არ იქნება ერთ ადგილას გაყინული და განუწყვეტლივ თვალყურს ადევნებს სამხედრო საქმეში მომხდარ მიღწევებს, რომლებიდანაც გადმოიღებს რაც აუცილებელი საჭიროა და ამავე დროს თვითონაც განუწყვეტლივ ვითარდება.

მეფის ჯარი არა ერთხელ იქნა დამარცხებული თავისი უვიცობის და შეუგნებლობის გამო, ჩვენ პირველი შემქმნელი მუშურ-გლეხურ წითელ არმიის, რომელმაც უნდა შეასრულოს დიდი როლი მშრომელ კაცობრიობის განთავისუფლების ისტორიაში, არ შეგვიძლია დაუშვათ ეს ჩვენს ჯარში, და განუწყვეტლივ უნდა ვაწარმოვოდ სამხედრო საქმის გაუმჯობესება. ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ჯარებიდან უნდა გადმოვიღოთ ყოველივე ის, რაც თანამედროვე პირობებში აუცილებელია. უნდა შევისწავლოთ მათი მოქმედების საშუალებანი იმისათვის, რომ თუ როგორ უნდა გაუწიოთ მათ წინააღმდეგობა საჭიროების დროს, და იქიდან გადმოღებულ მოქმედების საშუალებებში უნდა შევიტანოთ შესწორებანი ჩვენი ცხოვრების სინამდვილის მიხედვით და სამხედრო ტეხნიკასთან და სამხედრო წარმოების განვითარებასთან დაკავშირებით.

ყოველივე ამას შეუძლია მოითხოვოს შესწორებების, დამატების და შეცვლის შეტანა მომქმედ წესდებებში. ყოველივე ამას უნდა ადევნოთ თვალ ყური, უნდა ისწავლოთ და ღრმად ჩაწვდეთ მის შინაარსს.

პუგაჩოვი.

(დასასრული შემდეგ №-ში)




## ახალწვეულების შეხვედრა

სმენა!!! გაისმა ხმა 1-ლ ლეგიონის უფ პოლიტ-შემადგენლობა თბილისის სადგურის წინ სულ-განაბული სდგას, და უცდის სადგურში შემომავალ მატარებელს. გრიალებს სამხედრო ორკესტრი და გულს სიამე ეფინება. ხალხი, მუშები ქალები, ბავშვები, გამრები, თუ გამომრები, ყველა უნძრევლად სდგას და სულგანაბული უსმენს მუსიკას.

აჰა, მოსრიალებს და თანდათან გვიახლოვდება მატარებელი, მიქშუის და ეს ხმა ეგრიხება მუსიკის გაძლიერებულ ხმას, მუსიკის ხმას უეცრივ შიუერთდა ტკბილი მეგრული და აფხაზური სიმღერები. ეს ახალწვეულები იყვენ. ვაგონებიდან მოისმოდა მათი მხიარული ყიჟინა. საერთო სიხარული და აღმაფრენა. ყველას იპყრობს, მატარებელი მოსწყდა და შეჩერდა. „ნეტა რამდენი კაცია"? ჩუმათ ეკითხება ერთი მეთაური მეორეს.

„რა ვიცი მგონი ოცდა ათი".

ბიჭოს!!! წამოიძახა ერთმა „ორას კაცზე მეტია."

ეჰეე!!!

სადაურებია ნეტა? იძახის ხალხი.

ესენი გახლავთ რევოლიუციონურ სამეგრელოს და აფხაზეთის წითელი ახალ გაზრდობა, რომლებიც მიეშურებიან ჩვენს წითელ ყაზარმაში, რომ მტკიცეთ დაიცვან მუშების და გლეხების ხელისუფლება.

რამოდენიმე ხნის შემდეგ ბიჭები თავს იყრიან სადგურის ბოლო მოედანზე, სადაც 1-ლ ლეგიონის უფ-პოლიტ შემადგენლობა ხსნის საზეიმო მისასალმებელ მიტინგს.

ხალხი ჭიანჭველასავით ირევა აწყდება მიტინგს, სადგურის ხიდი სავსეა მაყურებლებით, გამვლელი თუ გამოვლელი გვიახლოვდებიან და აღტაცებით უსმენენ მიტინგს.

მუშები ჩაქუჩებით მხარზე, დროებით სწყვეტენ მუშაობას და ეშურებიან ჩვენკენ.

ორატორების სიტყვები იფარება მქუხარე ტაშით; მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს.

გათავდა მიტინგიც ვეწყობით მწკრივში მუსიკის მარშის ქვეშ მივეშურებით ჩვენს წითელ ყაზარმაში.

მუშებმა გამოგვაცილეს ტაშის ცემით, წითელ-ყაზარმაში გვეგებება სამხ-კომი ამხ. ბახია მისასლმებელი სიტყვით. ახალ-წვეულებს, შემდეგ ესალმება ძველი წითელ არმიელი ამხ. იმნაშვილი და აცნობოს ახალ ამხანაგებს, თუ რას ნიშნავს და რას იძენს წითელ არმიელი წითელ ყაზარმაში. რის შემდეგ ახალწვეულები დანაწილდენ თავიანთ ნაწილებში.

**გ. რო—კი.**

# რაზედ ვწერენ

### ექიმი და კომენდანტი თავის ადგილზე უნდა იყვენ.

ცხენოსანი ლეგიონის საცხოვრებელი ადგილი თითქმის ყველასკარგად მოეხსენება. ამ ზაფხულის პაპანაქება სიცხეში ლეგიონის ეზოში არ მოიპოვება ერთი ძირი ხე, რაც ერთობ ცუდ მდგომარეობაში გვაყენებს—ჩვენი ერთად-ერთი ნუგეში ამ მხრივ ლეგიონის შტაბის გვერდით გამოყვანილი წყალსადენის მილია. აქ გროვდება მთელი შემადგენლობა,

საუბედუროდ არც ეს წყალსადენია კარგად დაცული და თუ ასე გაგრძელდა ადვილი შესაძლებელია ავადმყოფობაც გავრცელდეს.

წყალსადენთან თქვენ ისეთ წუმპეს ნახავთ, რომ გული მოგივდებათ.

მართალია ლეგიონის ეზო მავთულებით არის შემოფარგლული მაგრამ ალაგ-ალაგ ის დაწყვეტილია და ახლო-მახლო მცხოვრებლების საქონელი ადვილად შემოდის. დილა ადრიან გათენდება თუ არა, მთელი ეზო აივსება გოჭიანი ღორებით, პატარა ხბოებით, ბატებით, ძაღლებით და ცხვრებით. მთელი დღე იქ არიან. ღორები საშინელ წუმპეს აყენებენ წყალსადენთან და იქაურობა მუდამ აყროლებულია. ეს ჰიგიენურად პირდაპირ აუტანელია. სად არის ლეგექიმი, რატომ არ აქცევს ამ მოვლენას ყურადღება.

ერთი უნდა შევნიშნოთ კომენდანტსაც, რომელსაც ხელში დაუკავებია ჯოხი და ერეკება ღორებს ეზოდან. ნუ თუ უკეთესი არ იქნება იზრუნოს დაგლეჯილი მავთულების შეკეთებაზე და ამნაირად ეზო შემოკავდეს?

საჭიროა საჩქაროდ მიექცეს ამ მოვლენას ყურადღება, თორემ როდესაც უსუფთაობის გამო თავს იჩენს სახ-დი მაშინ დაგვიანებული იქნება.

**კლდის ნაგლეჯიძე.**



### დაუდევრობას ბოლო უნდა მოეღოს.

პირველ ლეგიონში არსებობს სამომხმარებლო კოოპერატივი. ორი თვის წინად, როდესაც ფულის კურსი დღითი დღე ეცემოდა და საშინელ რყევას განიცდიდა, თავის მომხმარებელ წევრებს შესაფერ დახმარებას უწევდა ნისიის სახით—ჯამაგირების მიღებამდე.

ეხლა როდესაც ფულის კურსი განმტკიცდა და შედარებით უკეთესი მდგომარეობა არის, კოოპერატივმა სავსებით შესცვალა თავისი მოქმედება.

კოოპერატივი ძალიან ნაკლებად უშვებს საქონელს ნისიათ, რაც ცუდ მდგომარეობაში აყენებს ამხანაგებს.

როდესაც შევეკითხე ნოქარს თუ რა მიზეზია, რომ საქონელს ნისიათ არ უშვებენ, მან მკვახეთ მიპასუხა, რომ „ნისიის ჩასაწერი წიგ. არამაქვსო"

ეს ვერაფერი გასამართლებელი მიზეზია ჩემის აზრით და საჭიროა ასეთ დაუდევრობას თავის დროზე მიაქციოს გამგეობამ ყურადღება.

**დაუდევრობის მტერი.**

## ცენტრ-კლუბში

20 ივნისს, დივიზიის ცენტრალურ კლუბში, გამართულ იქნა ფასიანი სალამო მსუბუქ არტ-დივის დრამწრის მიერ, სადაც დაესწრენ წითელ არტილერისტების გარდა გარეშე საზოგადოებაც და გრეხილ ავეჯეულობის ქარხნის მუშები, რომელნიც მიმაგრებულნი არია ნმათთან კულტ-პოლიტ ფრონტზე.

დაიდგა ისტორიული პიესა 2 მოქმედებად: „საშინელი შურისძიება" რომელშიც მოთამაშეთ ეტყობოდა ცდა როლების ცოდნაში და თავისუფალი თავის დაჭერა სცენაზე, რაც აუცილებლად აღსანიშნავია და სასიამოვნო, როგორც გამარჯვება ჩვენი წითელი არმიელებისა სცენაზე, მაგრამ იყო ბევრი ტეხნიკური ნაკლი, რაც ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებდა მაყურებელზე და რომელიც აუცილებლად უნდა გამოასწოროს, შემდეგისათვის, ხელმძღვანელმა.

ხალხი ძალიან ცოტა დაესწრო რადგან არავინ იცოდა, არ იყო აფიშა გამოკრული და აბა ვინ იფიქრებდა თუ წარმოდგენა იყო კლუბში!

წითელ არმიელები მაინც მოეყვანათ. დაიწყო 10 ნახ. საათზე, რაც დაუშვებელია, მით უმეტეს დამსწრე არტილერისტების გამო მაინც, რომელთაც შორი გზა უნდა გაევლოთ შემდეგ და გვიანდებოდენ.

სალამოზე უკრავდა გრეხილ ავეჯეულობის ქარხნის მუშების სიმებიანი ორკესტრი.

ერთი სამწუხარო მოვლენა უნდა აღინიშნოს კიდევ. საყურადღებოდ ვისიც ჯერ არს, რომ კლუბში არ სჩანდა ადმინისტრაციას მტკიცე ხელი. არ იყო მორიგე და ისინი კი საკმაოდ არიან კლუბში.

იმედია შემდეგში არ ექნება ამას ადგილი.

**ს.**

## უვადო შვებულებაში წასულ წითელ არმიელების წერილებიდან.

### პირველი ლეგიონის 1-ლ ტყვიამფრქვევ გუნდის უფპოლიტ ში მადბენლობას.

ჩემი გულწრფელი სალამი ჩვენს ყოფილ ხელმძღვანელებს. გისურვებთ მეტ ენერგიას და მუდამ ჟამს გამარჯვებას მუშურ გლეხურ ხელისუფლების დაცვის საქმეში.

მეტად ბევრი დამავალა წითელმა ყაზარმამ თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით და მეც ყოველწუთს ვალდებულად ვხდი თავს ვიქნე ერთგული სწორ უპოვარი გამტარებელი იმ დიადი მცნებების რომლებიც მე წითელ ყაზარმაში შევითვისე.

მე ამ ჟამად ქარხანაში ვმუშაობ და ახალწვეულებს სულ იმას ველაპარაკები თუ რა არის წითელი ყაზარმა ვის მიზანს ემსახურება წითელი ჯარი, რა შევიძინეთ ჩვენ წითელ ყაზარმაში და რა მოელით მათ ჯარში წასვლით.

ჩემი სული ისევ თქვენთან ტრიალებს. გფიცავთ, თუ ვინმე გაბედავს საბჭოთა ხელისუფლების წინაამდეგ გამოლაშქრებას პირველი დაძახილისთანავე დავდგები თქვენს რიგებში და მრწამს ლენინიზმის დროშის ქვეშ სახელოვნად გავიმარჯვებთ. მეკობრული სალამი ყველა ახალწვეულებს.

**ყოფ. წ. არმ. იოს. ოსეპაშვილი.**

## გახსოვდეს ცხენის მომვლელო წითელ არმიელო!

## 23 მცნება.

1. ცემა-ტყეპა-გინებით ცხენს გლახა ზნე-ჩვეულებას ვერ გადააჩვევ და ვერც გაათვინიერებ მას.

2. ცხენის გარშემო დაიცავი სისუფთავე: ნაპატივები ცხენი-პატივი და დიდებაა მხედრისა.

3. როცა ცხენთან მიდიხარ, ალერსიანი, მოყვარული პატრონის კილოთი შესძახე და მიესალმე მას.

4. დაწოლილ ცხენს ტყუილა-უბრალოდ ნუ შეაწუხებ და ნუ წამოაყენებ.

5. საბალახოზე გაშვებული ცხენი თავის თავს თვითონვე გაიწმენდავს და გასვრილი არასოდეს არ იქნება იგი, ხოლო თუ თავლაშია დაბმული მუდამ მოითხოვს შენგან ყოველთვის თავის დროზე გასწმინდო იგი.

6. სამურველით ცხენს ნუ შეაწუხებ, იხმარე მხოლოდ ჩოთქი და მაუდის ნაჭერი. მიმხმარი ტალახი ჩალის ფუჩჩით ან დაკუმშული თივით მოაშორე.

7. ჭამის დროს ხელს ნუ შეუშლი ცხენს და ნუ შეაწუხებ მას.

8. სანამ სამუშაოდ წაიყვანდე ცხენს, ორი საათით წინ საკვები აჭამე მას და მუშაობის გათავების შემდეგ, სანამ ორი-სამი საათი არ გაივლის, არც წყალი დაალევინო და არც მარცლოვანი საკვები მისცე მას.

9. გუბის და ჭაობის წყალი არ დაალევინო ცხენს, ამით შეიძლება ავაი გახადო იგი.

10. ლაშქრობის დროს, როცა საჩქარო საქმეა და ცხენი შეხურებულია, ლაგამის პირიდან გამოუღებლად ნაწილ-ნაწილად დაალევინე წყალი და დაუყონებლივ გააგრძელე შენი გზა.

11. როცა ცხენი მიგყავს დასაჭედათ, თითონვე ადევნე თვალი ყველაფერს, ნება არ მისცე ნალბანდს სცემოს შენს ცხენს და გახსოვდეს, რომ შენი ცხენისათვის ნალბანდი გარეშე კაცია.

12. ახალგაზრდა ცხენი პირველად შენვე შეაჩვიე ჭედვის წესებს და მხოლოდ ამის შემდეგ წაიყვანე იგი ნალბანდთან დასაჭედათ. ხშირად აუწიე ფეხი ცხენს და ფლოქვზე ჯოხით დაუკაკუნე, რომ ფლოქვებზე მაგარი საგნით დაკაკუნებას შეეჩვიოს იგი.

13. ცხენის მოწყობილობა და უნაგირი ყოველთვის გამართული და წმინდათ შენახული იქონიე. თასმები, ღვედები და საოფლე ხშირად დაზილე, რომ არ გახმენ და ყოველთვის რბილი იყვნენ.

14. ცხენის შეკაზმვის დროს კარგად დაათვალიერე უნაგირიც და ცხენის ზურგიც, ყური უგდე, რომ ცხენს საოფლე არ შეეკეცოს და ზურგი არ გაუფუჭოს.

15. ხეღნის შემდეგ ყოველთვის მაუდის ნაჭერით გამოუწმინდე ცხენს ქაჩაჩების ქვეშ მდებარე ადგილები და ყველა ფეხები ჩალის ფუჩჩით დაუზილე.

(დასასრული შემდეგ №-ში)

**ვეტექიმი: ფარეიშვილი.**

## ქართ. დივ. სამხ. ტრიბუნალში.

### ხელქვეით წითელი არმიელის შეურაცყოფისათვის.

20 ივნისს რევტრიბუნალმა, თავმჯდომარე გოგიჩაიშვილის, კოლეგიის წევრების გაბუნიას და ქერქაძის შემადგენლობით გაარჩია ცხენოსან ლეგიონის მწყობრის თავის თანაშემწის კონსტანტინე ქობულიას საქმე. ბრალათ ედებოდა მის ხელქვეითი წითელი მოლაშქრისათვის, ბებიავასთვის სიტყვებით და მოქმედებით შეურაცხყოფა, რაიც გათვალისწინებულია ს.ს.კ. 207 მუხლის 1, 2 და 3 ნაწილში.

საქმის გამოძიებამ გამოარკვია: ა. წ. 10 თებერვალს მწყობრის თავის თანაშემწემ, მაშინ ზემდეგის მოვალეობის აღმასრულებელმა ქობულიამ გამოუცხადა წ. მ. ბებიავას, რომ გასულიყო განწესებაზე. ბებიავამ უარი უთხრა, რადგანაც ფეხსაცმელები არა მაქვსო. მორიგე ზემდეგმა ხელმეორედ უბრძანა, მაშინ ბებიავა იძრობს დახეულ ფეხსაცმელებს და გადის განწესებაზე. მორიგე ზემდეგი ქობულია ხვდება გზაში, მიმართავს უწმაწური სიტყვებით და ხელის წაჯიკავების შემდეგ აძრობს ხმალს. ინციდენტის ადგილას მოდის მორიგე მეთაური და უბრძანებს ბებიავას, რომ ჩაიცვას ფეხზე, გავიდეს განწესებაზე და შემდეგ იჩივლოს.

ამის შედეგათ პასუხისგებაში იქნა მიცემული ბებიავაც და ქობულიაც. ბებიავას ბრალათ ედებოდა უფროსის ბრძანების შეუსრულებლობა, მაგრამ ა.კ. ცაკის 30 აპრილის ამნისტიის ძალით მას ეპატია სასჯელი.

ბრალდებულ ქობულიას თანახმათ დამტკიცებული ბრალდებისა მიესაჯა ბებიავასათვის სიტყვიერი და მოქმედებით შეურაცხყოფისათვის ერთი წელიწადის თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ რადგანაც დანაშაული პირველათაა ჩადენილი და თანაც ისეთ გარემოებაში, რომელიც არ შეიძლება ნორმალურ გარემოებათ ჩაითვალოს, ამიტომ ერთი წლით გამსახლში მოთავსება შეეცვალა ორი წლის პირობითი სასჯელით.

# ახალი ამბები.

— **წითელ არმიელთა ფოსტა** თვითეულ წითელ არმიელს უფლება აქვს ყოველ თვიურათ გზავნოს სამ-სამი უბრალო დახურული წერილი წონით 20 გრამამდე ან სამი ღია წერილი უფასოთ.

— **პატიმართა მუშაობა.** შინ. საქ. ს. კ. საპატიმრო ადგილების გაწყოფილება ამ ჟამად ამუშავებს დებულებას პატიმართა მუშაობის, მათი თვითმოქმედების განვითარების მიზნით, რისთვისაც მათ მიეცემათ განსაზღვრული გასამრჯელო.

— **მუშათა ფაკულტეტები.** პროფგანათლების მთავარი მმართველობა ამ ჟამად იმუშავებს მუშათა ფაკულტეტებისათვის ახალ წესდებას რომელიც ძალაში შევა მომავალი წლიდან.

— **გამასწორებელ სახლების მოსამსახურე პერსონალის მომზადება.** საპატიმრო ადგილების განყოფილება ამზადებს დებულებას, საპატიმრო ადგილების მოსამსახურე პერსონალის მოსამზადებლად პსიქო—ტერაპევტიულ—დიაგნოსტიურ ინსტიტუტის დაარსების შესახებ.

— **მცირე წლოვანი დამნაშავენი.** მცირე წლოვან დამნაშავეთა კოლონიის შესაქმნელად შინ. საქ. სახ. კომისარიატის მიერ მუშავდება ცალკე დებულება.

— **ბანკის გახსნა გორში.** 1-ლ ივლისიდან ქალ. გორში იხსნება თბილისის ქალაქის ბანკის განყოფილება.

— **ქალაქის სასაკლაო.** ქალაქის სასაკლაოს სადგურის ცნობით ქ. თბილისში მაისის განმავლობაში დაიკლა სულ 11.795 სული საქონელი.

— **საქართველოს აგარაკებზე.** წელს საქართველოს აგარაკებზე დიდი მოთხოვნილებაა. ზოგიერთ აგარაკებზე ოთახები აღარ იშოვნება.

— **მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები.** ივლისის პირველ რიცხვებში რესპუბლიკის ყველა მაზრებში გაიხსნება მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები შრომის სკოლების მასწავლებელთათვის.

— **სვანეთის საბავშო სახლი.** სვანეთში არსებული საბავშო სახლი იხურება და ბავშები გადმოყავთ თბილისში ყოფილ აფხაზეთის ბავშთა სახლში.

## ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ.

— **სალამო-სეირნობა ჰაეროპლანის შესაძენად.** დღეს სასახლის ბაღში გაიმართება დიდი სალამო-სეირნობა ილიჩის სახელობის ჰაეროპლანის შესაძენ ფონდის გასაძლიერებლად.

## ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘ.

— **ძაღლის მოპარვა.** 19 ივნისს მოქ. პავლე ჟორდანიას საკუთარ ბინაზე მოპარეს მონადირე ძაღლი 200 მანეთად ღირებული.

— **თავის მოწამვლა.** კოოპერაციის ქ. №13 თავი მოიწამლა ლიდია ობესიანოვისამ. მიზეზი გამოურკვეველია.

# ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ.

### ᲥᲚᲘᲐᲕᲘᲡ ᲤᲝᲗᲚᲘᲡ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲐ „ᲓᲐᲬᲕᲐ“

ამ ავადმყოფობას იწვევს პატარა თვალით-უხილავი სოკოები. სოკოები განსაკუთრებით ფოთლებს ვნებს, დაზინებული ფოთლები დაფარულია ღია წითელი ფერის წინწკლებით. ფოთლის ქვემო მხარეზე წინწკლები იბურცებიან, რის გამოც დაზიანებული ფოთოლი ჩვეულებრივზე უფრო სქელი მოსჩანს. დაზიანებული ფოთლები თანდათანობით ყვითლდებიან, წითლდებიან და მიწაზე ცვივდებიან.

ქლიავის მავნე სოკო ასე ვითარდება: სოკოს თესლი, რომელსაც სპორა ეწოდება, ეცემა ფოთოლზე და უშვებს შიგ ძირების მაგვარ საწოვრებს. საწოვრები იქსაქსებიან ფოთლის უჯრედებში და იქიდან სწუწნიან წვენს. ამის გამო ფოთოლი სუსტდება და ავადმყოფობას ნაკლებ წინააღმდეგობას უწევს. კოკო სარგებლობს ამ გარემოებით და კიდევ უფრო ღრმად უშვებს საწოვრებს ამრიგად ფოთოლი თანდათანობით წითელ ფერს ღებულობს, წითელ ფერს ფოთლის წინწკლებს აძლევს ერთგვარი ზეთისებური ნივთიერება რომელსაც სოკო გამოჰყოფს. დამწიფებასთან ერთად სოკო ფოთლის შიგნით იკეთებს მრავალ თესლებს (სპორებს). სპორები ჩამოცვენილ ფოთლებში იზამთრებენ. გაზაფხულზე იფანტებიან და ამრიგად მრავლდებიან; ავადმყოფობის განვითარებას ხელს უწყობს სინესტე და ნესტიანი წლები. განსაკუთრებით კარგად ვითარდება სოკო იმ ბაღებში, სადაც გამოფიტული ნიადაგია და ხეხილი საკმაო საკვებს მასალას ვერ შოულობს.

ქლიავის ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ ასეთი ზომები უნდა ვიხმაროთ: უნდა შევკრიბოთ და დავწვათ ყველა დაზიანებული ფოთლები, ადრე გაზაფხულიდან ხეხილს უნდა ვასხუროთ ბორდოს სითხე.

ეს სითხე იფარავს ფოთლებს ავათმყოფობისაგან, რადგან ჰკლავს სოკოს სპორებს. ჩვენში ეს ავათმყოფობაა ძლიერაა გავრცელებული დასავლეთ საქართველოში. რადგან იქაური ნესტიანი ჰავა ხელს უწყობს სხვადასხვა სოკოების განვითარებას. ამიტომ როცა ხეს ვწამლობთ მაშინ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ სხვა სოკოების მოსპობაც და დროც ისე უნდა შევარჩიოთ. პირველი მისხურება სოკოების წინააღმდეგ საჭიროა სოკოს გაჩენის გასაფრთხილებლად. ამიტომ ის ადრე გაზაფხულზე უნდა ვაწარმოვოთ, როცა გაივლის ორი სამი კვირა საჭიროა მეორე წამლობა და ასე სანამ არ გაივლის სოკოს გაჩენის საშიშროება. უნდა ვეცადოთ, რომ სითხე ყველა ფოთოლს თანაბრად მოხვდეს, რადგან უწამლო ფოთოლს სოკო უცბათ უჩნდება.

ბორდოს სითხის მომზადების შესახებ შემდეგ წერილში.

**მეურნე.**

# ᲝᲛᲘ ᲓᲐ ᲥᲘᲛᲘᲐ.

## ᲛᲮᲣᲗᲐᲠᲘ ᲜᲘᲕᲗᲘᲔᲠᲔᲑᲐᲜᲘ.

### ᲤᲝᲡᲒᲔᲜᲘ.

ფოსგენს ამზადებენ ქლორისა და ნახშირბადის ჟანგისაგან. ჩვეულებრივ ტემპერატურაზედ (ქიმიურ ლაბორატორიებში ჩვეულებრივ ტემპერატურად მიღებულია—ოთახის სითბო ცელსიუსის 18°). ფოსგენი—უფერული აირია, სველი თივის სუნისაა. იგი იკუმშება სითხეთ ცოტაოდენი შეციებით, მაგალითად 8°-სზედ იგი წარმოადგენს სითხეს. ფოსგენის ორთქლის ერთი კუბიკური ლიტრი 4,4 გრამს იწონის. 0° სის სითბოზედ მისი ხვედრითი წონა წყალზედ მეტია. ფოსგენი ცივი წყლით ნელა იშლება ნახშირმჟავ აირად და ქლორის წყალბადათ.

წარსულ იმპერიალისტურ ომში გერმანელებმა ფოსგენი პირველად მოიხმარეს 1915 წლის დეკემბრის ბოლოში—აირის ღრუბლის სახით ამასთან ფოსგენს შერეული ჰქონდა ქლორი. ფრანგებმა კი ეს ნივთიერება 1916 წ. თებერვალში ვერდენთან მოიხმარეს პირველად ქიმიურ ყუმბარებში.

აირ-ბალონიან იერიშის დროს ფოსგენი ქლორთან შერეული იხმარება: იღებენ ფოსგენს 25 ნაწილს და ქლორს—75 ნაწილს, ან 50 ნაწილს ფოსგენს და 50 ნაწილ ქლორს. ფოსგენს კი უმთავრესად ხმარობენ ქიმიურ ყუმბარებში, მხოლოდ ურევენ მას სხვა აირებს, როგორც მაგალითად დიფოსგენს ან ქლორპიკრინს ან დიფენილ—ქლორ-არსინს (ამ აირებს გავეცნობით შემდეგ წერილებში). გერმანელების ზოგიერთ ყუმბარებში ნაპოვნი იყო ფოსგენისა და მჟადაქვის (პემზის) ნარევი; ფოსგენს მჟადაქვა ითვისებს და ამ მხრივ იგი ასუსტებს ფოსგენის აქროლვის თვისებას.

ფოსგენი მეტად შხამიანი ნივთიერებაა, იგი ქლორზედ რვაჯერ ძლიერია. ერთ კუბიკურ ლიტრ ჰაერში თუ ფოსგენის 0,3 მილიგრამია, ძაღლი $^1/_2$ საათში კვდება. ფოსგენი მოკლე ხანში იწვევს ფილტვების სისივნეს და შეხუთვისაგან სიკვდილს. ჩვეულებრივად შემჩნეულია ამ ნივთიერების შეფერხებული მოქმედება, მოწამვლის შემდეგ კარგა ხანი გადის შედარებით და სიკვდილს იწვევს გულის სიდამბლე. ამ მოსაზრებით ამ აირით სუსტად მოწამლულებსაც კი ეკრძალებათ მოძრაობა და კუნთების მუშაობა. როდესაც ფოსგენი აღებულია მცირე რაოდენობით, რასაც სიკვდილი არ შეუძლია გამოიწვიოს, იგი ნამეტნავად ენერგიულად ჰმოქმედობს და მოკლე ვადაში გამოჰყავს მწყობრიდან ხალხი, იმპერიალისტურ ომის ვითარებაში ფოსგენი პირველხარისხოვან ამქროლავ აირს წარმოადგენდა და მას ომში ჩაბმული ყოველი სახელმწიფო ხმარობდა.

ფოსგენის გამოსაცნობად ხმარობენ ანილინის წყალს (ანილინი უფერო, ზეთისმაგვარი სითხეა, თავისებური სუნი და მწვავე გემო აქვს, შხამიანია), რომელიც იძლევა დიფენილ-შარდის ნალექს. უფერული ხსნარი სპირტში იღებება ნარგიზის მოყვითალო ფერად.

ფოსგენისაგან დასაცავად იხმარება განსაკუთრებული ნახშირი, უროტროპინი, ნატრიუმის ფენოლიატის ტუტიანი ხსნარი.

მშვიდობიან დროს ფოსგენი იხმარება როგორც ძვირფასი ქიმიური პროდუქტი საღებავ ნივთიერებების დამზადების დროს, ფოსგენი აგრეთვე წარმატებით იხმარება სასოფლო მეურნეობაში მავნებელთა მოსასპობად.

**გ. ბ—შვილი.**

# ᲜᲐᲠᲔᲕᲘ

## ᲣᲘᲚᲐᲡ ᲡᲮᲘᲕᲔᲑᲘ.

ინგლისელ მატიუზს, რომელმაც სახელი გაითქვა „სიკვდილის სხივების“ გამოგონებით, გამოუჩნდა მეტოქე, ინგლისელი მეცნიერი უილი, შეფილდის უნივერსიტეტის პროფესორი. მან გამოაცხადა, რომ მას გამოუგონია ისეთივე სხივები, როგორც მატიუზს. სხივებს შეუძლიათ:

ყოველგვარ სიცოცხლის მოსპობა, ყველაფრისათვის ცეცხლის წაკიდება, საჰაერო გემის დაღუპვა, მატორის შეჩერება და აფეთქების მოწყობა.

უილი ამბობს, რომ ის არავითარ განსაკუთრებულ პრეტენზიებს არ აცხადებს თავის გამოგონებაზე, რადგან ის (გამოგონება) დამყარებულია ყველასათვის ცხად მეცნიერულ პრინციპებზე.

დიდ მანძილზე ჯერ-ჯერობით უილის აპარატი არ მოქმედობს. მისი მოქმედების პირე განიზომება 30 იარდით. დიდ მანძილისათვის გამოგონების გაუმჯობესობამდე ის აპარატი არ ივარგებს. მისი გამოგონებაზე პატენტი აღებული აქვს უილის 9 თვით, შემდეგ კი შესაძლებელია ამ გამოგონების საიდუმლო არ გამოქვეყნდეს, თუ ის შეიძინა სამხედრო სამინისტრომ.

გაზეთების თანამშრომლებთან საუბარში უილიმ განაცხადა.

მე არ ვფიქრობ, რომ ჩემი გამოგონება მოხმარდეს სხვა რამეს, გარდა სამხედრო საჭიროებისა. მისი მოხმარა, როგორც სამკურნალო ძალის, შეუძლებელია. მას შეუძლია ფრენის დროს შეაჩეროს ჰაეროპლანი, გააფუჭოს მისი მატორი, შეაჩეროს ავტომობილი მოძრაობის დროს, მოსპოს, რისიც არ უნდა იყვეს, სიცოცხლე

„სიკვდილის სხივების“ გამომგონი გრინდელი-მეტიუზი კი ფიქრობს, რომ მისი აპარატის სხივები არა მარტო სპობს ადამიანის სიცოცხლეს, არამედ არჩენს კიდევაც, და ის პროტესტს აცხადებს მისი აპარატი, „სიკვდილის სხივების“ დარქმევაზე. უილის გამოგონება უმთავრესად მატიუზის სხივების აღმოჩენის გამოქვეყნებაზეა დამოკიდებული, რომლითაც დაინტერესდა უილი. უილის სიტყვებით, ის ამაზე წინეთაც ფიქრობდა, როდესაც ის კითხულობდა გერმანიაში ჰაეროპლანის ჩამოვარდნის შემთხვევებს, ფრანგულ ჰაეროპლანის მოტორების გაფუჭების გამო. თავის აპარატის გამოგონებაზე მას დიდი დრო არ მოუნდომებია და რამოდენიმე დღის წინეთ იქმნა მის შესახებ გამოქვეყნებული ცნობა.

ინგლისის მთავრობამ მოლაპარაკება გამართა უილთან და როგორც ზევით აღვნიშნეთ მას ცხრა თვის პატენტი მისცეს. მოლაპარაკება მატიუზთანაც სწარმოებს, რომელიც საჩქაროდ გამოიწვიეს საფრანგეთიდან, სადაც შესდგა სინდიკატი მატიუზის სხივების კომერციულ ექსპლოატაციისათვის. საჰაერო ფლოტის სამინისტრომ დანიშნა ექსპერტების საცდელი კომისია მატიუზის სხივების მოქმედების გასაცნობად. ცდები დანიშნულია ლონდონში მატიუზის ლაბარატორიაში. მატიუზმა განაცხადა, რომ ის საფრანგეთში მოლაპარაკებას აწარმოებდა მხოლოდ იმისათვის, რომ შეექმნა საზოგადოება, რომელიც შესძლებდა მისი სხივების წარმოებისათვის გამოყენებას, მაგრამ მისი გამოგონების სეკრეტი საფრანგეთში არავინ არ იცის. მას სურს შეძენის უპირატესობა მისცეს ინგლისის მთავრობას.

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ.

ამხ. კლდის ნაგლეჯიძეს—გთხოვთ შამოიაროთ რედაქციაში.


ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲛᲘᲚᲬᲔᲕᲔᲑᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲙᲠᲐᲡᲜᲐᲘᲐ ᲖᲕᲔᲖᲓᲐ“-ზე

სამხედრო ნაწილები და ორგანიზაციები, რომლებიც გამოიწერენ ერთი მისამართით 28 ც. გაზეთს სამი თვით (ან 15 ც. 6 თვით, 10 ც. 3 თვით) **მიეცემათ უფასო დამატება: მხატვრული კრებული—ალბომი „ᲓᲘᲐᲓᲘ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲗᲐᲜ“** მიძღვნილი ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი.

ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲘᲚᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲠᲘᲪᲮᲕᲔᲑᲨᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ:

1 თვით—1 მანეთი, 3 თვით—2 მანეთი 75 კაპ., 6 თვით—5 მან. 25 კაპ.; 9 თვით—7 მან. 75 კაპ., ერთი წლით—10 მ.

ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ-ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ

№ 1.

„ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲒᲣᲨᲐᲒᲘ“

ᲤᲐᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ.

ყიდვა და გამოწერა კრებულისა შეიძლება შემდეგი მისამართით: **კეცხოველის ქუჩა** (ყოფ. ლორის-მელიქოვისა), **სამხედრო კომისარიატის სტამბის შენობა, სარედაქციო-საგამომცემლო კოლეგიის ბინაზედ.**


# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ქართულ მსროლელ დივიზიის ცენტრალური კლუბი ამით აცხადებს, ყველა წითელ-არმიელების საყურადღებოთ, რომ საზაფხულო საგარნიზონო კლუბში, რომელიც მოთავსებულია პლეხანოვის ქუჩაზე ქალაქის მთავარ საავადმყოფოს პირდაპირ **მათ აქვთ უფლება უფასოთ შესვლისა.**


ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1000 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—ლ. ჩანტლაძე.